ეროვნული ბიბლიოთეკა



## მსოფლიოს XV ჩემპიონატი ფეხბურთში

### 16 ივლისი

მატჩი III ადგილისათვის (ლოს-ანჯელესი)

**ბულგარეთი — შვეცია**

### 17 ივლისი

ფინალთა ფინალი. ლოს-ანჯელესის სტადიონზე ოქროს მედლებისათვის ერთმანეთს შეხვდებიან სხვადასხვა წლებში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები:

**ბრაზილია** — მსოფლიო ჩემპიონი 1958, 1962, 1970 წლებში.

**იტალია** — მსოფლიო ჩემპიონი 1934, 1938, 1982 წლებში.

ერთ-ერთი ამ ორ გუნდთაგან წლეულს მსოფლიო ჩემპიონობას მოიპოვებს მეოთხედ.

**ნახევარფინალები:**

იტალია — ბულგარეთი 2-1. გოლები: რ. ბაჯო (2, იტალია), სტოიჩკოვი (ბულგარეთი, 11-მეტრიანი).

ბრაზილია — შვეცია 1-0. გოლი: რომარიო. მინდვრიდან გააძევეს შვეციელი ტერნი.

### მერვედფინალებიდან — ფინალამდე

| 1/8 | 1/4 | 1/2 | F |
|---|---|---|---|
| რუმინეთი — არგენტინა | რუმინეთი 3-2 | | |
| საუდ. არაბ. — შვეცია | შვეცია 3-1 | შვეცია 2-2. 7-6 — თერთმეტმეტრიანებით. | |
| ბრაზილია — აშშ | ბრაზილია 1-0 | | |
| ჰოლანდია — ირლანდია | ჰოლანდია 2-0 | ბრაზილია 3-2 | ბრაზილია 1-0 |
| ესპანეთი — შვეიცარია | ესპანეთი 3-0 | | |
| ნიგერია — იტალია | იტალია 2-1 | იტალია 2-1 | |
| გერმანია — ბელგია | გერმანია 3-2 | | |
| მექსიკა — ბულგარეთი | ბულგარეთი 4-2. ძირითადი და დამატებითი დრო — 1-1. | ბულგარეთი 2-1 | იტალია 2-1 |

ბულგარეთი
III ადგ.
შვეცია


# ლელო

16–21 ივლისი, 1994 წ.
№22 (10890) ● ფასი 70 000 კუპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## ჩემპიონატის მოზაიკა

● დიეგო მარადონას კატასტროფა არც ისე იოლი გამოდგა, რომ იგი მარტოოდენ მსოფლიო ჩემპიონატიდან გარიცხვით ამოიწუროს. არგენტინის პოლიცია იტყობინება, რომ ამ ფეხბურთელის დიეტოლოგ ექიმს დანიელ ჩერინის ექსტრემისტი გულშემატკივრები ტერორით დაემუქრნენ და არა მარტო პირადად მას, არამედ მისი ოჯახის სხვა წევრებსაც. სწორედ დანიელ ჩერინი მიაჩნიათ დამნაშავედ, რომ მარადონა გამოეთიშა დიდ ფეხბურთს. ექიმის ახლო ნათესავებს ანონიმები გამუდმებით ურეკავენ და სასტიკი ანგარიშსწორებით აშინებენ, ამასთან, იქადნებიან, რომ კოლუმბიელი ფეხბურთელის ანდრეას ესკობარის აღსასრული ხუმრობა იქნება იმასთან შედარებით, რაც მათ მოელით.

არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა ამასთან დაკავშირებით ასეთი განცხადებით გამოვიდა: დანიელ ჩერინის პირადად, პერსონალურად ევალებოდა მარადონას უზრუნველყოფა სამედიცინო მედიკამენტებით, ზოგიერთი მათგანი კი შეიცავდა ეფედრინს, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მიერ აკრძალულ ნივთიერებას. დიეტოლოგმა, სამწუხაროდ, ეს აკრძალვა არ გაითვალისწინა.

● მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ჯგუფურ ტურნირში გამოდიოდა 24 ნაკრები. აქედან 13 გუნდი ევროპიდან იყო, 6 — ამერიკიდან, 3 — აფრიკიდან, ორიც — აზიიდან. აქედან მერვედფინალში მიაღწია ევროპის შვიდმა და სამხრეთ ამერიკის მხოლოდ ერთმა გუნდმა. მერვედფინალისტთაგან ბრაზილია, იტალია და გერმანია სხვადასხვა დროს სამ-სამჯერ იყვნენ მსოფლიო ჩემპიონები და ამ ტიტულის მეოთხედ მოპოვების შესაძლებლობა ჰქონდათ.

● კოლუმბიის პოლიციამ ანდრეას ესკობარის მკვლელობასთან დაკავშირებით დააპატიმრა ხუთი კაცი. მათ აღმოუჩინეს იარაღი, აგრეთვე კოკაინი და სხვა ნარკოტიკული ნივთიერებანი.

● მერვედფინალში გასვლას წარმოუდგენელი ექსცესები მოჰყვა ბრაზილიის, რუმინეთის, ბულგარეთის, ესპანეთის ქალაქებში. გულშემატკივრები მთელი ღამე ღრიანცელობდნენ ქუჩებში, მოედნებზე, პარკებში, სადგურებში, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სვამდნენ, ხულიგნობდნენ. ეს თავაწყვეტილი აჟიოტაჟი რამდენიმე უბედური შემთხვევითაც დამთავრდა.

● მსოფლიო ჩემპიონატზე დაწესებულია პრიზი თითოეული კონკრეტული მატჩის საუკეთესო მოთამაშისათვის — 1000 დოლარი. ყველა ფეხბურთელმა, ვინც კი პრიზი დაისაკუთრა, ეს ფული უკლებლივ გადასცა საქველმოქმედო ფონდს, ზოგმა — უპატრონო ბავშვთა სახლებს, ზოგმა — ნარკოტიკულ საავადმყოფოებს, ზოგმა — ინვალიდთა გაერთიანებებს, ცხოველთა დახმარების ორგანიზაციებს და ა.შ.

● როგორც ცნობილი გახდა, დიეგო მარადონამ გადაწყვიტა შექმნას „მოთამაშეთა საერთაშორისო გაერთიანება“, რომლის მიზანი იქნება ფეხბურთელთა სოციალური და ფსიქოლოგიური დაცვა. გაერთიანებაში შესვლის სურვილი უკვე გამოთქვეს: ლოთარ მათეუსმა, ბერნდტ შუსტერმა, რომარიომ, ბებეტომ, რუუდ გულიტმა, ხრისტო სტოიჩკოვმა და სხვა რამდენიმე „ვარსკვლავმა“.

● იმ შემთხვევაში, თუ ბრაზილიელები მოიგებენ ტურნირს და მეოთხედ გახდებიან მსოფლიო ჩემპიონები, ისინი ამ წარმატებას მიუძღვნიან ცნობილი ავტომობილისტის აირტონ სენას ხსოვნას. ასე გადაწყვიტა გუნდმა ჯგუფური ტურნირების შემდეგ გამართულ საერთო კრებაზე, რასაც ერთხმად დაუჭირა მხარი მთელმა ბრაზილიამ.

● არგენტინისა და რუმინეთის გუნდების მატჩის დროს ტრიბუნაზე, გულის მწვავე შეტევის შედეგად გარდაიცვალა სამხრეთამერიკელი პოლიციელი ხორხე ბაუერი, რომელიც აშშ-ში გულშემატკივართა ჯგუფს ჩამოჰყვა.

● ფიფა-ს საპატიო პრიზის — „ფეირ-პლეისისთვის“ ბრძოლაში წინაა ამერიკის შეერთებული შტატების გუნდი. მას კვალში მიჰყვებიან: შვეიცარიის, ბრაზილიისა და ბელგიის ფეხბურთელები.

იხ. მე-3 გვ.

## ქუთაისი, განკარგულება №283

ამ განკარგულებას ხელს აწერს ქ. ქუთაისის მერი ბატონი თეიმურაზ შაშიაშვილი. დოკუმენტი შეიქმნა მიმდინარე ეტაპზე ქუთაისის ეკონომიკის, საქალაქო მეურნეობის ცალკეულ დარგებში არსებული მრავალწახნაგოვანი პრობლემების დაძლევისათვის და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების გასატარებლად.

კმაყოფილებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ქალაქის მერი სპორტსმენებზე ზრუნვასაც არ ივიწყებს. განკარგულების 28-ე პუნქტში ვკითხულობთ:

„მიღებულ იქნას ქალაქის სპორტკომიტეტის წინადადება მოქმედი ვეტერანი სპორტსმენებისათვის, მათ შორის მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური ასპარეზობების ჩემპიონებისა და პრიზიორების, აგრეთვე მათი მწვრთნელებისათვის ყოველთვიური დახმარების დაწესების თაობაზე.“

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი და ჭადრაკის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 79 წლისა გარდაიცვალა საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო არბიტრი ჭადრაკში

გიორგი (გიგლა) ივანეს ძე გაჩეჩილაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

## ძალთა გადაფასება

### ჯონდო მუზაშვილი ევროპის ჩემპიონთა შორის

კანევეჟისი (ლიტვა). დამთავრდა სამბისტთა ევროპის ჩემპიონატი სამ ასაკობრივ ჯგუფში (ჭაბუკები, იუნიორები, მოზრდილები). კონტინენტის უძლიერესი მოჭიდავეებისათვის განკუთვნილი ოქროს მედლები ხვდათ (წონითი კატეგორიების მიხედვით): ნიკოლაი ციპანდინს (ბელარუსი), ერვანდ გრიგორიანს, ოვიკ მანუკიანს (ორივე — სომხეთი), ნიკოლაი ბაგიროვს, ვალერი დანილოვს (ორივე — ბელარუსი), ჯონდო მუზაშვილს (საქართველო), ევგენი მარტიროსიანს (უკრაინა), სერგეი ლოპოვოკს (რუსეთი), ალგიმანტას როციავიჩუსს (ლიტვა) და მურად ჰასანოვს (რუსეთი).

როგორც სამბისტთა ევროპის საერთაშორისო ფედერაციის მსაჯთა კომისიის ხელმძღვანელმა პროფესორმა ალბერტ ასტახოვმა განაცხადა, რუსეთის ფედერაციის მოჭიდავეთა ჰეგემონიას კონტინენტის სარბიელზე ბოლო მოეღო და, როგორც ჩანს, კარგა დიდი ხნითაც. მათ ლიდერობა ყოფილმა რესპუბლიკებმა, ამჟამად დამოუკიდებელმა ქვეყნებმა ჩამოართვეს, რაც საკმაოდ კარგად ჩანს, თუნდაც ამ ჩემპიონატის მაგალითზე.

წლევანდელი სეზონი, ბუნებრივია, ჯერ არ დამთავრებულა. წინაა ორი უმნიშვნელოვანესი ტურნირი. ერთ-ერთი მათგანია ვაჟთა, ჭაბუკების, იუნიორების, ქალებისა და გოგონების მსოფლიოს ჩემპიონატი (გაიმართება იუგოსლავიის ნოვი-სადში, 6-9 ოქტომბერს), მეორე კი კონტინენტის ჩემპიონატი ქალებს და გოგონებს შორის (ტვერის ოლქის ქალაქი რჟევი, 3-6 სექტემბერი).

**მილოცვა**

საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია დაბადების დღეს ულოცავს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს კახი კახიაშვილს.

28 ივლის — 7 აგვისტოს სანქტ-პეტერბურგში გაიმართება წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ავტორიტეტული კომპლექსური შეჯიბრება — კეთილი ნების, რიგით მესამე თამაშები. ამასთან დაკავშირებით მთავარმა მსაჯმა პიოტრ ტრესკოვმა ჟურნალისტებს რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია მიაწოდა:

# კეთილი ნების თამაშები ციფრებში

● წინასწარი მონაცემებით სანკტ-პეტერბურგს ეწვევა 169 ქვეყნის 3,5 ათასზე მეტი სპორტსმენი.

● რუსეთის ვიცე-მერის ვიტალი მუტკოს განცხადებით რუსეთის მხარეს ამ თამაშების მოწყობა 500 მილიონი მანეთი დაუჯდება. ეს თანხა უმთავრესად სპორტული ობიექტების რეკონსტრუქციასა და ქალაქის კეთილმოწყობას მოხმარდა.

● თამაშების მოწყობაში თავისი წვლილი ამერიკის მხარესაც შეაქვს. ოფიციალური მონაცემებით იგი დაახლოებით 80 მილიონ დოლარს შეადგენს, თუმცა ორგანიზატორების განცხადებით ფსონი ალბათ მეტიც იქნება.

● ორგანიზატორებს მოჰყავთ ერთი ასეთი მაგალითიც: თამაშების გახსნაზე ბილეთები ღირება 5-დან 125 ათასი მანეთიო.

● შემოსავლის მთავარ წყაროდ მაინც ტელეგადაცემათა უფლების გაყიდვაა მიჩნეული. და მართლაც, თამაშების ტელერეპორტაჟების უფლება უკვე 105-მა ქვეყანამ შეიძინა.

● როგორც აღნიშნავენ, კეთილი ნების თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ შეჯიბრებებს სპორტის 24 სახეობაში 1,5 მილიარდი ტელემაყურებელი ეყოლება.

● თამაშებს მოემსახურება კვალიფიციურ არბიტრთა მთელი არმია. ყველაზე მეტ მსაჯს, ბუნებრივია, რუსეთი გამოიყვანს (1000). უცხოელ არბიტრთა რაოდენობა 371 კაცითაა განსაზღვრული.

● ყველაზე მრავალრიცხოვანი გუნდი, ცხადია, თამაშების მასპინძელს ეყოლება — 474. შემდეგ მოდიან: აშშ — 457. გერმანია — 150. ჩინეთი — 122. იაპონია — 90 და ა.შ.

● 1998 წლის IV თამაშებს ნიუ-იორკი უმასპინძლებს. V თამაშების მასპინძლის შესარჩევად კი მოეწყობა სპეციალური კონკურსი რუსეთის ქალაქებს შორის.

# რატომ შეუყვარდა ნარკობიზნესს სპორტი?

## მას შემდეგ, რაც ოფიციალურმა ხელისუფლებამ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ნარკობიზნესს, კოლუმბიაში შფოთით ამოისუნთქა

საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში, შედარებით მოკლე დროის მანძილზე, კოლუმბიამ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. საფრანგეთის სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ ზუსტად აღნუსხა ერთი წლის მანძილზე დანაშაულებრივი კლანების საწყობებიდან ამოღებული „ნადავლის“ ოდენობა: 30 ათასი კილოგრამი კოკაინი, 450 ათასი კილოგრამი მარიხუანა. ხელისუფლებამ ხელში ჩაიგდო მაფიოზური სტრუქტურების კუთვნილი 411 კატერი, 367 თვითმფრინავი. ჯუნგლებში აღმოაჩინეს 63 საიდუმლო „ასაფრენ-დასაჯდომი მოედანი“. დაბოლოს, ტყვედ ჩაიგდეს 3 ათასი ნარკოტიკებით მოვაჭრე.

კი მაგრამ, იკითხავს ალბათ მკითხველი, რა შუაშია კოლუმბიის ნარკომაფია და საფრანგეთის სპორტული გაზეთი „ეკიპი“. შეხების რა წერტილი შეიძლება ჰქონდეს ამ დანაშაულებრივ სფეროს სპორტთან?

როგორც ირკვევა, მსხვილი ნარკობიზნესმენები თავისებურად ფარველობენ სპორტსა და ცალკეულ სპორტსმენებს. კოლუმბიელი ჟურნალისტი ფაბიო კასტილიოს განცხადებით ქვეყნის უმაღლესი საფეხბურთო ლიგის რვა წამყვან კლუბს ფარველობენ ცნობილი მაფიოზები. ასე მაგალითად, ძმები როდრიგესების „პირად კუთვნილებაშია“ 150 ფეხბურთელი. იმავე ძმებმა ერთხელ ლათინური ამერიკის თასის გათამაშებაში მოასპარეზე „ამერიკის“ მეტოქეს 250 ათას დოლარად დაათმობინეს პრინციპული მატჩი. ხოლო ფეხბურთელმა რობერტო კაბანიასმა ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში გატანილი გადამწყვეტი გოლისთვის, იმავე ძმებისაგან საჩუქრად მიიღო მდიდრული ბინა ქალაქ კალიში.

გარეშე კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ ნარკობიზნესი გარკვეულწილად ხელს უწყობს სპორტის აყვავებას და, ამდენად, სასარგებლო მოვლენა ყოფილაო. მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ მათი ურთიერთობა სპორტთან წმინდა პრაგმატულ ხასიათს ატარებს. მაფიოზი იხდის ფულს ასე ხელგაშლილად იმიტომ, რომ სამჯერ უფრო მეტი მიიღოს. ამავე დროს, არ ერიდება სიყალბეს, მოქრთამვას, კორუფციას, დაშინებას საკუთარი მიზნების მისაღწევად. და, რაც მთავარია, კოლუმბიის საფეხბურთო ჩემპიონატის ბედი ნარკობიზნესმენთა ოფისებში და ფეშენებელურ ვილებში წყდებოდა.

იმავე ფაბიო კასტილიოს თქმით ძმები როდრიგესების ინტერესების სფერო მხოლოდ ფეხბურთით არ იყო შემოფარგლული. ისინი აფინანსებდნენ კოლუმბიის კალათბურთელთა ეროვნულ ნაკრებს, პროფესიონალ მოკრივეებს, საკმაოდ სოლიდურ თანხას აბანდებდნენ ავტოსპორტში და... სარბოლო მანქანების ნაწილებში მალავდნენ კოლუმბიიდან მაიამიში (აშშ) გასაგზავნ კოკაინს.

ერთი სიტყვით, სრული ჭეშმარიტება გახლავთ აზრი იმის შესახებ, რომ მაფია არაფერს არ აკეთებს ისე, მხოლოდ ხელოვნების სიყვარულით.

## ტელეგრაფი - მკითხველი

● ლიუბლიანა (სლოვენია). კალათბურთში ევროპის ახალგაზრდული პირველობის ოქროს მედლები ბელარუსის სპორტსმენებმა მოიპოვეს. ფინალში მათ იტალიელები დაამარცხეს — 96:91 (49:48). ბრინჯაოს ჯილდო ერგო ესპანეთის გუნდს, რომელმაც ბერძენ კალათბურთელებს აჯობა — 83:69. საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: 1. ბელარუსი, 2. იტალია, 3 ესპანეთი, 4. საბერძნეთი, 5. ისრაელი, 6. თურქეთი, 7. რუსეთი, 8. სლოვენია, 9. გერმანია, 10 ფინეთი, 11. საფრანგეთი, 12. სლოვაკია.

● ლოზანა. რუსმა სპრინტერმა ქალთა ირინა პრივალოვამ შვეიცარიის ქალაქში მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე ევროპის ახალი რეკორდი დაამყარა 100 მეტრზე რბენაში — 10,77. პრივალოვამ გააუმჯობესა გერმანელი მარლიზ გიორის რეკორდი, რომელიც 11 წლის წინ იყო დამყარებული.

● პარიზი. პროფესიონალ ველოსიპედისტთა ყველაზე პრესტიჟულ რბოლას „ტურ დე ფრანსს“ ... ეტაპის შემდეგ ლიდერობს საფრანგეთის პრიზის სამგზის მფლობელი ესპანელი მიგელ ინდურაინი. იგი ლიდერი გახდა მას შემდეგ, რაც ბრწყინვალედ მოიგო რბოლა დაყოფილი სტარტით. ლიდერს ორ წუთზე ცოტა მეტით ჩამორჩება შვეიცარიელი ტონი რომინგერი.

# მხოლოდ ტექნიკური შედეგები



კალათბურთი. ეროვნული ჩემპიონატი 1 ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის. მონაწილეობენ: თსუ — 1, თსუ — 2 („მართვე“), „დოქსი“ (სამედიცინო უნივერსიტეტი), „კაქტუსი“ (თბილისი), „გეორგიკა“ (თბილისი), ფასა (ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია), „გურჯაანი“ (გურჯაანი). კონკურსგარეშე გამოდიოდნენ „მაქაბი“ (თბილისი) და „აზოტი“ (რუსთავი).

თსუ-1 — თსუ-2 96:103, „კაქტუსი“ — „აზოტი“ 88:57. „გურჯაანი“-„გეორგიკა“ 58:81, „მაქაბი“ — ფასა 74:64. თსუ-1 — „აზოტი 80:64, ფასა — „გურჯაანი“ 75:65, თსუ-2 — „კაქტუსი“ 84:60, „დოქსი“ — „მაქაბი“ 92:105, „გეორგიკა“ — ფასა 83:51, თსუ-2 — „აზოტი“ 90-74, თსუ-1 — „კაქტუსი“ 76:69, „გურჯაანი“ — „დოქსი“ 45:93, „დოქსი“ — „გეორგიკა“ 87:69, „მაქაბი“ — „გურჯაანი“ 102:52, „გეორგიკა“ — „მაქაბი“ 70:87, ფასა — „დოქსი“ 60:77, „მაქაბი“ — „კაქტუსი“ 67:72, „აზოტი“ — ფასა 96:71, თსუ-1 — „დოქსი“ 76:79, თსუ-2 — „გეორგიკა“ 95:70. თსუ-1 — „მაქაბი“ 74:76, „კაქტუსი“ — „გეორგიკა“ 98:71. ფინალი: თსუ-2 — „დოქსი“ 76:108. მესამე ადგილისათვის: თსუ-1 — „გეორგიკა“ 98:84.

თსუ-2 („მართვე“) და „დოქსი“ მომავალ ეროვნულ ჩემპიონატში უმაღლეს ლიგაში იასპარეზებენ.

ანა ახვლედიანი

ფარიკაობა. ათენი. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები. რაპირა. 1. როლანდო ტუკერი (კუბა), 2. ალესანდრო პუჩინი (იტალია), 3. ოსკარ გარსია პერესი (კუბა) და ტორსტენ ვაიდნერი (გერმანია).

დაშნა. 1. პაველ კოლობკოვი (რუსეთი), 2. ოლივიე ჟაკე (შვეიცარია), 3. არნდ შმიტი (გერმანია) და ჟან-მიშელ ანრი (საფრანგეთი).



მძლეოსნობა. ლინცი. აქ გაიმართა სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ... პირველი ადგილი საუკეთესო შედეგით მოიპოვა ნიგერიელმა დევიდსონ ეზინვამ — 9,94 (აფრიკის რეკორდი). მეორე ადგილი ხვდა ამერიკელ დენის მიტჩელს — 9,97, მესამე — მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონს ინგლისელ ლინფორდ კრისტის — 10,03.



გეიტსჰედი (ინგლისი). საერთაშორისო შეჯიბრება. ვაჟები. 100 მ. 1. ლ. კრისტი (დიდი ბრიტანეთი), 2. ფ. ფრედერიკსი (ნამიბია) ორივემ ერთნაირი დრო აჩვენა — 10,46; ჭოკი. რ. გატაულინი (რუსეთი) — 580 სმ; 200 მ. ფ. ფრედერიკსი — 20,75; 400 მ. ა. პეტიგრო (აშშ) — 45,19; 800 მ. მ. ევერეტი (აშშ) — 1.47,16; 110 მ. თარჯრბენი. კ. ჯეკსონი (დიდი ბრიტანეთი) — 13,51; სიმაღლე. ტ. ფორსაიტი (ავსტრალია) — 228 სმ; შუბი. ი. ჟელეზნი (ჩეხეთი) — 91,68 (მსოფლიოს საუკეთესო შედეგი სეზონში).

ერფურტი. გერმანიის ჩემპიონატი. ქალები. 100 მ. მ. პაშკე — 11,20 (ნახევარფინალში 11,12). ვაჟები. 100 მ. მ. ბლიუმე — 10,28.

ავტოსპორტი. ბუენოს-აირესი. არგენტინის რალი. მეორე ეტაპი. მოიგო დ. ორიოლმა („ტოიოტა“). იგი ლიდერობს საერთო ჩათვლაშიც — 4:16.24.

## შეკითხვები „ლელოს“

შეკითხვა: „ლელო“ წერდა, რომ ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიად გარდაიქმნა, რა შეიცვალა სპეციალისტთა მომზადებაში, რა სპეციალობებზე მიიღებენ წლეულს აბიტურიენტებს?

ბ. ბერიძე (თბილისი)

პასუხი: რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით ამ აკადემიას უფლება ეძლევა, გარდა ტრადიციული სპეციალობებისა (მასწავლებელი, მწვრთნელი) დანერგოს შემდეგი სპეციალობები: სამკურნალო ფიზიკური კულტურა და რეაბილიტაცია“, „აქტიური დასვენებისა და ტურიზმის მენეჯერი“, „სპორტული ჟურნალისტიკა“, „სპორტული ფსიქოლოგია“. სპეციალისტებს მოამზადებენ სულ ცოტა ორ მონათესავე დარგში. ამასთან, ერთი აუცილებლად უნდა იყოს ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ან მწვრთნელი სპორტის არჩეულ სახეობაში.

შეკითხვა: აღმოსავლური ორთაბრძოლების რამდენი ფედერაციაა დღეს საქართველოში?

ვ. სამადაშვილი (რუსთავი)

პასუხი: სპორტის დეპარტამენტის მონაცემებით ამჟამად ჩვენში აღრიცხულია ოფიციალურად აღიარებული 27 ფედერაცია (ერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ფილიალით) და ასზე მეტი სპორტული კლუბი. მოშეცადინეთა რაოდენობა 27 ათასს აღწევს.

# კორპორაცია და მისი უნივერსიტეტი

**ასოციაცია „ფალავანი“ თავისი სახელწოდებით, მოგეხსენებათ, წმინდა სპორტული ორგანიზაციის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ მისი მოქმედების არეალი გაცილებით ფართო იყო: თუნდაც წმინდა სპორტული და საქველმოქმედო საქმეები, სერიოზული სამეურნეო მუშაობა, ბოლოს, თუ გნებავთ, საკუთარი უნივერსიტეტი. „სხვათა შორის“ ამ უნივერსიტეტში 4 აკადემიკოსი და 50 პროფესორი შრომობს, რაც, დაგვეთანხმებით, ბევრ უმაღლეს სასწავლებელს შეშურდება.**

ასოციაცია „ფალავანი“ თავისი ფუნქციებისა და სამოქმედო სფეროს გაფართოების აუცილებლობის გამო (მაგალითად, მან ითავა მესხეთ-ჯავახეთის კულტურულ-ეკონომიკური აღორძინება) გადაკეთდა კორპორაციად „ლეგია და კომპანია“. მისი პრეზიდენტია ჩინებული ორგანიზატორი, ენერგიული სპეციალისტი, საქართველოს პარლამენტის წევრი გოდერძი ველიჯანაშვილი.

...ამას წინათ რკინიგზელთა კულტურის სახლში გაიმართა საზეიმო საღამო, რომელიც უნივერსიტეტის ერთ-ერთ გამორჩეულ პერიოდს — სტუდენტური დღეების დამთავრებას მიეძღვნა.

აღნიშნულ საღამოზე, რომელიც უნივერსიტეტის რექტორმა ანტონ ბალიაშვილმა გახსნა, დაასაჩუქრეს სტუდენტები, აგრეთვე პროფესორ-მასწავლებლები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს სტუდენტურ დღეებში, სამეცნიერო საკითხები იყო ეს თუ სპორტული. მათ ამ დღეს დაურიგდათ დიპლომები და ფულადი საჩუქრები. უნივერსიტეტის პრორექტორმა სასწავლო დარგში, ოლიმპიურმა ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა შოთა ხაბარელმა დამსწრეთ წარუდგინა უნივერსიტეტის გამორჩეული სპორტსმენები: ევროპის ჩემპიონი სამბოში ლევან უნდილაშვილი, ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ძიუდოში ივერი ჯიქურაული, ევროპის, ჭაბუკთა ოლიმპიური დღეების პრიზიორი ლევან ციგრიაშვილი, საქართველოს კალათბურთელ ქალთა ჩემპიონატის პრიზიორი (ამ უნივერსიტეტის გუნდი) და სხვები, რომლებსაც ჯილდოები გადაეცათ.

მალე კორპორაცია „ლეგია და კომპანიის“ უნივერსიტეტი ახალ შევსებას მიიღებს.

ოთარ ნოზაძე

## SOS!

## ისევ „გამორჩათ“...

რამდენიმე წელია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სპორტული დარბაზები, მცირერიცხოვანი სასწავლო საცურაო აუზები და ღია სპორტული ბაზები არ შეკეთებულა და ისინი თანდათან კარგავენ ფუნქციას. რა არის წლეულს მოსალოდნელი? სასიკეთო არაფერი. ბიუჯეტიდან სკოლებზე ხარჯების გაწევა ... მუხლითაა განსაზღვრული, წლეულ ... გათვალისწინებულია მხოლოდ ... მის ... ანაზღაურება, სამწუხაროდ, ... ში სპორტული ობიექტები ... შეკეთდა, ასე რომ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

### საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# მეექვსე ეროვნულის კარს მოგვადგა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე დაამტკიცეს 1994-95 წლების VI ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის დებულება.

წინა ჩემპიონატთან შედარებით პირველ ჯგუფში თამაშები მოეწყობა ორ წრედ, არაზონური პრინციპით. ამ ჯგუფში იასპარეზებს 16 გუნდი: „დინამო" (თბილისი), „კოლხეთი-1913" (ფოთი), „ტორპედო" (ქუთაისი), „სამტრედია" (სამტრედია), „დინამო" (ბათუმი), „გურია" (ლანჩხუთი), „შევარდენი-1906" (თბილისი), „მარგვეთი" (ზესტაფონი), „დილა" (გორი), „ივერია" (ხაშური), „მეტალურგი" (რუსთავი), „დინამო" (ზუგდიდი), „საპოვნელა" (თერჯოლა), „სამგურალი" (წყალტუბო), „კახეთი" (თელავი), „დურუჯი" (ყვარელი).

პირველ ჯგუფში ბოლო ორ ადგილზე გასული გუნდები საქართველოს 1995-96 წლების ჩემპიონატში გადაინაცვლებენ II ჯგუფში, ხოლო მათ ადგილს დაიკავებენ მეორე ჯგუფის აღმოსავლეთ და დასავლეთ ზონებში პირველ ადგილზე გასული გუნდები.

დამტკიცდა, აგრეთვე, საქართველოს თასის მეხუთე გათამაშების დებულებაც. მეთექვსმეტედფინალამდე გუნდები ერთმანეთს შეხვდებიან თითოჯერ, წყვილებს და მასპინძელ გუნდს გამოავლენს წილისყრა. მეთექვსმეტედფინალიდან გუნდები, ფიფას წესების შესაბამისად ერთმანეთს ხვდებიან ორჯერ, საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

პირველი ჯგუფის გუნდები თასის გათამაშებაში ჩაებმებიან მეთექვსმეტედფინალიდან, ხოლო თბილისის „დინამო", როგორც რესპუბლიკის ჩემპიონი და თასის მფლობელი — მეოთხედფინალიდან.

**თბილისის მერმა ნ. ლეკიშვილმა სამინისტროების, უწყებათა, მერიის სამსახურების წარმომადგენელთა მონაწილეობით გამართა თათბირი, სადაც განიხილეს ჩვენს დედაქალაქში 19 ივლისს მალტის ნაკრებთან სატესტო მატჩის ჩატარებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები.**

**მატჩს მოემსახურებიან შვეიცარიელი მსაჯები, ჩამოვლენ უეფას ოფიციალური პირები, რომლებიც შემდგომში წარადგენენ დასკვნას დართონ თუ არა ნება საქართველოს ნაკრებ გუნდებს ევროპის ჩემპიონატის საშინაო შესარჩევი მატჩები თბილისში გამართონ.**

# შეიქმნა ოლეგ ბლოხინის ფონდი

ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი ოლეგ ბლოხინი ბოლო წლებში მწვრთნელად მუშაობდა საბერძნეთის ქალაქ პირეოსში, იქაურ პაოკ-თან. მიუხედავად იმისა, რომ მას რამდენიმე მიწვევა ჰქონდა საბერძნეთის სხვა კლუბებიდან და უცხოეთიდანაც, მან დატოვა პირეოსი და შინ, კიევში დაბრუნება არჩია.

კიევში შეიქმნა ე.წ. „ოლეგ ბლოხინის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი", რომლის პრეზიდენტია თვით ოლეგ ბლოხინი, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი — მისი მეუღლე, მხატვრული ტანვარჯიშის ვარსკვლავი ირინე დერიუგინა.

ახლა ფონდს დიდი ამოცანები აქვს დასახული: უკრაინაში ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარება, მომავალი სპორტული თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი ფონდის პრეზიდენტმა როგორც კიევში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, განზრახულია მოეწყოს საქველმოქმედო მატჩი მსოფლიო ფეხბურთის გამოჩენილ ოსტატთა და კიევის „დინამოს" ვეტერანთა შორის (23 ივლისს), უკვე მოვიდა თანხმობა გერმანელი პაულ ბრაიტნერის, ჰოლანდიელი იოჰან ნეესკენსის, ბელგიელი ჟან-მარი პფაფისაგან. მატჩში მონაწილეობის სურვილი განაცხადა, აგრეთვე, თბილისის დინამოელმა ალექსანდრე ჩივაძემ.

ო. ბლოხინი და მისი მეუღლე ვარაუდობენ ფონდის საქმიანობაში აქტიურად ჩააბან ცნობილი სახელმწიფო მოღვაწეები, სახალხო დეპუტატები, მსხვილი მრეწველები, გამოჩენილი სპორტსმენები, კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწეები და სხვა ავტორიტეტები. ო. ბლოხინის ფონდის სპონსორია სააქციონერო კომერციული ფირმა „ლეს-ბანკი".

# ჩემპიონატის მოზაიკა

● **როგორც** ცნობილია, აშშ-ბრაზილიის მატჩი გაიმართა 4 ივლისს — ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დღეს. გაზეთი „ნიუდეი" წინადადებას სთავაზობს, ამ გუნდებმა 7 სექტემბერს საპასუხო მატჩი მოაწყონ რიო-დე-ჟანეიროში, ახლა უკვე ბრაზილიის დამოუკიდებლობის დღეს, და მერე ორი ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების შეხვედრები ტრადიციულ დღესასწაულად იქცევა.

● **ამერიკის** სტატისტიკური სამსახურების მონაცემებით აშშ-ბრაზილიის მატჩი სარეკორდო იყო იმით, რომ მას ეი-ბი-სის ტელეარხზე ჩართული 32 მილიონი მაყურებელი ადევნებდა თვალს. აშშ-ში ევროპულ ფეხბურთს არასოდეს არა ჰყოლია ასეთი დიდი ტელეაუდიტორია.

● **ჯერჯერობით** მხოლოდ ორი არბიტრის — შვეიცარიელ კურტ.როტლისბერგერისა და იტალიელ პიერლუიჯი პერეტოს პირად საქმეებში ჩაიწერა უსიამოვნო განაჩენი — „არბიტრობიდან განთავისუფლდა ვადამდე". შვეიცარიელმა ასეთი სანქცია დაიმსახურა იმის გამო, რომ ბელგია-გერმანიის მატჩში არ დანიშნა აშკარა პენალტი, იტალიელმა კი რუმინელი ბელოდედიჩის მიმართ გამოიჩინ ლმობიერება არგენტინელებთან მატჩში. ფიფას კომისიას მიაჩნია, რომ რუმინელი ფეხბურთელი არბიტრს აუცილებლად უნდა გაეძევებინა უხეშობისათვის.

● **სტატისტიკოსთა** მტკიცებით მსოფლიო ჩემპიონატების რეკორდი დამყარდა იტალია-ნიგერიის მატჩში, როცა არბიტრმა ორივე მხარის წარმომადგენლებს 9 ყვითელი და 1 წითელი ბარათი აჩვენა უხეშობისა და წესრიგის დარღვევისათვის. მაგრამ რეკორდმა მხოლოდ რამდენიმე საათს იარსება. იგი ოდნავი სახეცვლილებით გამეორდა მექსიკისა და ბულგარეთის გუნდების მატჩში. არბიტრმა ამჯერად ფეხბურთელებს 8 ყვითელი და 2 წითელი ბარათი აჩვენა.

● **იგივე** სტატისტიკოსები აღნიშნავენ, რომ წლევანდელი ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირებისა და მერვედფინალების შედეგებმა საგრძნობლად გადააჭარბეს წინა ჩემპიონატის მაჩვენებლებს და ამდენად „იტალია-90"-თან შედარებით იგი წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა მივიჩნიოთ. მართლაც, 44 მატჩში გატანილია 118 გოლი, 18-ით მეტი, ვიდრე ოთხი წლის წინ. მინიმალური ანგარიშით (1-0) წლეულს ცხრა შეხვედრა დამთავრდა, იტალიაში კი — 12. მაყურებლის რაოდენობა ყოველ მატჩში საშუალოდ 17 ათასი კაცით გაიზარდა (იტალიაში იყო 50.420, აშშ-ში 67.162).

● **ჩემპიონატის** შედეგებით ყველაზე მეტად კმაყოფილი არიან საუდის არაბეთის ფეხბურთელები. ფინალურ ტურნირში მონაწილეობისათვის ხელისუფლებამ თითოეულ მათგანს საჩუქრად გადასცა გერმანული „მერსედესები" (22 ფეხბურთელსა და მწვრთნელს), მერვედფინალში გასვლისათვის კი შვედური „ვოლვოები".

● **ჩემპიონატის** საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის ალან როტენბერგის აზრით ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატი ამერიკაში დაბრუნდება ალბათ 2010 წლისათვის. მისი განცხადებით 1998 წლის შემდეგ (ამ წელს ფეხბურთელთა მსოფლიოს ფორუმი საფრანგეთში გაიმართება) ჩემპიონატს უმასპინძლებენ: იაპონია ან სამხრეთ კორეა (2002 წელს), მერე აფრიკის რომელიმე ქვეყანა (2006 წელს) და... ისევ აშშ (2010 წელს).




## კორეელთა ახალი მწვრთნელი

ამერიკაში მიმდინარე მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ჯგუფურ ტურნირში („D" ჯგუფი) კორეის ნაკრებმა III ადგილი დაიკავა (ორი ფრე, ერთი წაგება), მერვედფინალში ვერ მოხვდა და შინ გაემგზავრა, თუმცა, თავისთავად ეს ურიგო მაჩვენებელი არ იყო, თუ გავითვალისწინებთ ჯგუფის სიძლიერეს (გერმანია, ესპანეთი კორეა, ბოლივია).

და, აი, კორეელთა მთავარი მწვრთნელი კიმ ხო გადადგა თავისი პოსტიდან. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

კორეის ნაკრების ტექნიკურ მრჩევლად კარგა ხანს მუშაობდა უკრაინელი ფეხბურთელი და მწვრთნელი ანატოლი ბიშოვეცი. იგი სულ ახლახანს კორეის ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვიეს და შემდგომი შეჯიბრებებისათვის მზადებაც დაავალეს.

შეგახსენებთ, რომ ა. ბიშოვეცი თამაშობდა კიევის „დინამოში", სსრ კავშირის ნაკრებში, შემდეგ ხელი მიჰყო მწვრთნელობას. მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა კავშირის ოლიმპიურმა ნაკრებმა 1988 წელს ოქროს მედლები მოიპოვა სეულში. ა. ბიშოვეცი ხელმძღვანელობდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნაკრებს ევროპის 1992 წლის შესარჩევ თამაშებში.

## ინფორმაცია

...ღეებში „ლაციოსა" (იტალია) და ინგლისის ეროვნული ნაკრების ნახე... ...ელმა პოლ გასკოინმა საკმაოდ სერიოზული ოპერაცია გადაიტანა. ექიმ... მხოლოდ სექტემბერში იტყვიან როდის შესძლებს ფეხბურთელი ვარჯიშის დაწყება...

**30 წლის** ბრაიან ლაუდრუპმა, რომელიც ბოლო 5 წლის მანძილზე „ბარსელონაში" თამაშობდა, 2-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი „რეალთან". ცნობილი გახდა გარიგების საფასურიც — ოთხასი მილიონი პესეტი, ანუ 3,1 მილიონი დოლარი.

**როგორც** იქნა დათანხმდა მარსელის „ოლიმპიკში" თამაშს ირლანდიელი თავდამსხმელი, 31 წლის ტონი კასკარინო. ინგლისის „ჩელსის" ფეხბურთელი ამ დღეებში მოაწერს ხელს კონტრაქტს.



## „სიხარულის" სიხარული...

35-ე სკოლა, „ავაზა", „დინამო", „მეტეხი", „სიხარული", „ალგეთი", „შევარდენი", „იბერი", „მამული", „ერლანი" — ეს გუნდები მონაწილეობდნენ ფეხბურთში თბილისის პირველობაზე 1981 წელს დაბადებულთა შორის.

თავი გამოიჩინა „სიხარული-94"-მა, რომელმაც 39 ქულა დააგროვა და ბურთების საუკეთესო შეფარდებით (67-16) პირველი ადგილი დაიკავა. (უფროსი მწვრთნელი იუზა წილოსანი, გუნდის უფროსი გურამ წოწკოლაური, მწვრთნელი გივი წილოსანი). ამ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით კახა წუწუნავას, გიორგი წოწკოლაურს, ალექსი ბურჯანიძეს, დავით იაკობიძეს, ლევან მესხს.

კლუბი შექმნილია ნაძალადევის რაიონის სპორტსკოლის ბაზაზე. მას დიდი ხელშეწყობა აქვს სტადიონის დირექტორის დემურ ჰაფოძის, სასწავლო ნაწილის გამგის ფილიპე კოლესიდის მხრივ.

კლუბის პრეზიდენტია ნიაზ მარიამიძე, დირექტორი — მალხაზ იაკობიძე. „სიხარულის" სპონსორებია ფირმა „ხევძმარა" (პრეზიდენტი რევაზ სანიკიძე) და ფირმა „სხივი-2" (პრეზიდენტი მალხაზ იაკობიძე), მენეჯერი — ფირმა „მამულის" პრეზიდენტი ზურაბ ფოლადაშვილი.

თბილისის 1994 წლის ჩემპიონები გახდნენ: გიორგი ლოლუა, ვლადიმერ ბახტაძე, ფირუზ ბენდელიანი, ალექსი ბურჯანიძე, ზურაბ კილაძე, გიორგი ლოთიშვილი, დავით მარიამიძე, დავით იაკობიძე, გიგა რურუა, ვახტანგ ფოლადაშვილი, კახა წუწუნავა, გიორგი წოწკოლაური, ლევან მესხი, რომან წილოსანი, კობა ჩიტაია, ვახტანგ გურამიშვილი.

სურათზე: „სიხარული-94".

# ოლიმპიური კალეიდოსკოპი

● **პარიზი.** სორბონის უნივერსიტეტის ყველაზე ტევად და ლამაზ დარბაზში, რომელიც „დიდი ამფითეატრის" სახელითაა ცნობილი (აქ 100 წლის წინ მოეწყო სპორტის წარმომადგენელთა მსოფლიო კონგრესი, რომელზეც გადაწყდა ძველბერძნული ოლიმპიური თამაშების აღორძინება და ამ მიზნით დაარსდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი). მოეწყო საღამო თანამედროვე ოლიმპიადების ფუძემდებლის პიერ დე კუბერტენის ხსოვნის აღსანიშნავად. მთავარი მოხსენება, როგორც მოსალოდნელი იყო, ოლიმპიური მოძრაობის თავკაცმა, სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა გააკეთა.

● **ატლანტა.** ამერიკა რომ გიგანტო და რეკორდომანიის კლასიკური ქვეყანა გახლავთ, ყველასათვის ცნობილია. ამ ტრადიციას ამერიკელები, ბუნებრივია, არც სპორტში ღალატობენ. ცნობილი გახდა, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელსაც ატლანტა 1996 წელს უმასპინძლებს, გაიყიდება ბილეთების სარეკორდო რაოდენობა — 11 მილიონი ცალი. შედარებისთვის საინტერესო იქნება გავიხსენოთ, რომ ბარსელონაში, ბოლო XXV ოლიმპიადაზე გაიყიდა 4 მილიონამდე ბილეთი. როგორც საორგანიზაციო კომიტეტის პრესატაშემ განაცხადა, ბილეთების გაყიდვას შეუდგებიან 1995 წლის დასაწყისში. დაზუსტდა ამ ბილეთების ფასებიც: თამაშების გახსნასა და დახურვაზე დასწრების მსურველს მოუწევს 600 დოლარის გამეტება, საშუალოდ კი ერთი ბილეთის ფასი 40 დოლარია.

● **იაპონელები** რომ თადარიგის მოყვარული ხალხია კარგად ჩანს ზამთრის მომავალი ოლიმპიადის მაგალითიდანაც, რომელიც ამომავალი მზის ქვეყნის საკურორტო ქალაქ ნაგანოში ჩატარდება. ოლიმპიადის მასპინძლებმა კარგა ხნით ადრე დაიწყეს მოლაპარაკება ტელეტრანსლაციის უფლებაზე სხვადასხვა კორპორაციასთან და ამ ცოტა ხნის წინ, ოლიმპიადაზე სამნახევარი წლით ადრე, გააფორმეს კიდეც კონტრაქტი. ეს საპატიო უფლება იყიდა სი-ბი-ესმა 375 მილიონ დოლარად (შეგახსენებთ, რომ იმავე სი-ბი-ესმა ლილეჰამერის თამაშების ტელერეპორტაჟების ნებართვაში 295 მილიონი დოლარი გადაიხადა). კონტრაქტს ხელი მოაწერეს: ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა მაკო ტოკობიაშმა, ტელეკორპორაციის ვიცეპრეზიდენტმა რიკ ჯენტილმა, იუსოკ-ის აღმასრულებელმა დირექტორმა ჰარფი შილერმა და სოკ-ის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა.

● **შტუტგარტი.** გაიმართა გერმანიის ჩემპიონატი სატრეკო ველოსპორტში, რომელიც საკმაოდ მაღალი შედეგებით აღინიშნა. ეს მიღწევები ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს იმის გამოც, რომ ბევრი პრიზიორი არაერთხელ არის გამოსული თბილისში „საქართველოს ტელევიზიის დიდი პრიზის" გათამაშებაში. 1000 მეტრზე გიტში ნაჩვენები სამივე საპრიზო შედეგი უმაღლესი დონისაა. ჩემპიონი გახდა მიჰაელ შურერი — 1.03,29. მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიოს ექსჩემპიონმა იენს გლიუკლიჰმ (1, 03,57), მესამე — მარკუს ნაგელმა — 1, 03,84. სპრინტერთა შეჯიბრება იენს ფიდლერმა მოუგო ბილ პუკს — 2:1. მესამე ადგილზე გავიდა მსოფლიოს ექსჩემპიონი პროფესიონალთა შორის მიჰაელ ჰიუბნერი.

# ბარელი — ლუისის მემკვიდრე

1991 წლის 25 აგვისტოს ტოკიოში, მძლეოსანთა III მსოფლიოს ჩემპიონატზე 100 მეტრზე რბენაში ვაჟებში კვარცხლბეკის სამივე საფეხური აშშ-ს მძლეოსნებმა დაიკავეს. პირველი ადგილი ხვდა კარლ ლუისს (9,86), მეორე — ლეროი ბარელს (9,88), მესამე — დენი მიტჩელს (9,91). იმ დღეს 10 წამზე უკეთესი დრო კიდევ სამმა სპრინტერმა აჩვენა: ინგლისელმა ლინფორდ კრისტიმ (9,92), ნამიბიელმა ფრენკ ფრედერიქსმა (9,96) და იამაიკელმა რეი სტიუარტმა (9,96). ეს თავისთავად ბრწყინვალე შედეგი იყო და შემდგომში ჩემპიონატის გვირგვინად მიიჩნიეს, მაგრამ ფინალური გარბენის მთავარი ღირსება გახლდათ ის, რომ კარლ ლუისმა ახალი მსოფლიოს რეკორდი დაამყარა. დიახ, 9,86 წამი ახალი რეკორდი იყო 100 მეტრზე რბენაში მას შემდეგ, რაც ცნობილი ამბების გამო გაუქმდა ბენ ჯონსონის 1987 წლის მიღწევა (9,83).

ზემოაღნიშნულმა პრიზიორებმა ტოკიოში თავი გამოიჩინეს კიდევ ერთ დისტანციაზე — ესტაფეტაში 4X100 მეტრზე (ამ სამ სპრინტერს ესტაფეტაში დაემატა ანდრე კესონი). მათ მიერ ნაჩვენები შედეგი 37,50 ახალი მსოფლიო რეკორდი იყო. ასე რომ, ლეროი ბარელმა მსოფლიოს რეკორდებთან ჭიდილი კარგა ხანია დაიწყო და პირველ წარმატებას სამი წლის წინათ მიაღწია. ამ დღეებში მან თანამემამულისა და თანაგუნდელის მსოფლიო რეკორდი დაამხო 100 მეტრზე რბენაში. ლეროი ბარელის ახალი მიღწევა 9,85 წამს უდრის.

ბარელი დაიბადა 1967 წლის 21 თებერვალს ფილადელფიაში. რამდენიმე წელია ითვლება მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სპრინტერად. მისი საუკეთესო შედეგი 100 მეტრზე რბენაში 9,88 წამი იყო (სწორედ ეს დრო აჩვენა ბარელმა ტოკიოში, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ გარბენში). იგი კლუბ სანტა-მონიკას გუნდის წევრია, რომელსაც წლების მანძილზე არა ჰყავს ღირსეული კონკურენტი ესტაფეტებში.



ლეროი ბარელი

## კომპიუტერული ათეულები

პროფესიული ჩოგბურთის ასოციაციამ გამოაქვეყნა ახალი კომპიუტერული რეიტინგები:

ვაჟები. 1. პიტ სამპრასი (აშშ) — 5405 ქულა. 2. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) — 3105, 3. მიჰაელ შტიხი (გერმანია) — 2895, 4. სერხი ბრუგერა (ესპანეთი) — 2757, 5. ტოდ მარტინი (აშშ) — 2563, 6. სტეფან ედბერგი (შვეცია) — 2558, 7. მაიკლ ჩანგი (აშშ) — 2551, 8. ანდრეი მედვედევი (უკრაინა) — 2534, 9. ბორის ბეკერი (გერმანია) — 2108, 10. თომას მუსტერი (ავსტრია) — 2025.

ქალები. 1. შტეფი გრაფი (გერმანია) — 365,00, 2. არანტა სანჩესი — 249,48, 3. კონჩიტა მარტინესი (ორივე — ესპანეთი) — 220,03, 4. მარტინა ნავრატილოვა (აშშ) — 126,14, 5. კიმიკო დატე (იაპონია) — 132,10. 6. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 126,14, 7. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — 121,33, 8. მარი პიერსი (საფრანგეთი) — 119,43, 9. ნატალია ზვერევა (ბელარუსი) — 109,17, 10. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) — 106,79.

## გიორგი (გიგლა) გაჩეჩილაძე



ამ პიროვნებას კარგად იცნობდა მთელი საჭადრაკო სამყარო, პატივს სცემდა და აფასებდა. საქართველოს ჭადრაკის თითქმის 60-წლიანმა ისტორიამ მის თვალწინ გაიარა, უშუალოდ მის შრომით ბიოგრაფიას უკავშირდება მსოფლიო ჩემპიონატებში, საჭადრაკო ოლიმპიადებში და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეების, განსაკუთრებით კი ქალების მიღწევები.

ახალგაზრდობაში თავადაც წარმატებით თამაშობდა ჭადრაკს, უნივერსიტეტში კი, სადაც ექსპერიმენტული ფიზიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, ჭადრაკის მოყვარულ სტუდენტთა სექციას უძღვებოდა. მაშინ გატაცებული იყო ხელოვნებითაც — თითქმის 12 წელიწადი ამიერკავკასიის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში გამოდიოდა, მისი ყველაზე დიდი სიყვარული მაინც ჭადრაკი იყო. 1951 წელს თბილისის საჭადრაკო-საშაშო კლუბის ხელმძღვანელობა მიანდეს, ორი წლის შემდეგ უკვე რესპუბლიკის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელია ჭადრაკში, მერე სპორტული თამაშების განყოფილების გამგედ დაწინაურეს. პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ გაუწყვეტია ურთიერთობა ჭადრაკის სამყაროსთან. თითქოს, რაღაც სიმბოლური იყო იმაშიც, რომ 80 წელს მიღწეულმა ჭადრაკის სასახლეში, ჭადრაკის დაფასთან ასე მოულოდნელად დაასრულა სიცოცხლე.

ამ ცხოვრებიდან წავიდა ღვაწლმოსილი კაცი, შესანიშნავი ადამიანური თვისებებით დაჯილდოებული პიროვნება, დახვეწილი ინტელიგენტი, საქმისათვის თავდადებული მუშაკი.

გ. გაჩეჩილაძის ნაღვაწ-ნამაგარზე ნათლად მეტყველებენ ის ტიტულები, წოდებები და ჯილდოები, რაც მას დამსახურებისთვის მიენიჭა. იყო საქართველოსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საერთაშორისო არბიტრი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

გ. გაჩეჩილაძის ღვაწლს მადლიერებით მოიხსენიებს შთამომავლობა, მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება.

ი. მენაღარიშვილი, ვ. ასათიანი, ბ. ხურციძე, კ. ასათიანი, ნ. ლეკიშვილი, თ. შარაშენიძე, ჯ. ბაგრატიონი, ვ. შუბლაძე, ო. გოგიაშვილი, თ. გაჩეჩილაძე, მ. ჩიბურდანიძე, ნ. იოსელიანი, ნ. ალექსანდრია, თ. გიორგაძე, ბ. გურგენიძე.

## შალვა ჩახნაშვილი



76 წლისა უეცრად გარდაიცვალა 40-50-იანი წლების ერთ-ერთი წამყვანი სპორტსმენი სასტენდო სროლაში, მეცნიერი და პედაგოგი შალვა ჩახნაშვილი.

იგი წლების მანძილზე იყო ქართულ მესტენდურეთა ნაკრები გუნდის წევრი, მწვრთნელი, წარმატებით იცავდა ქართული სპორტის ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე, მინიჭებული ჰქონდა სპორტის საპატიო ოსტატის წოდება.

შალვა ჩახნაშვილმა დიდი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში, კერძოდ, სპორტის ფიზიოლოგიაში. დიდ ქართველ ფიზიოლოგ სერგი ნარიკაშვილთან ერთად მან შექმნა და მეცნიერულად დაამუშავა სპორტში აქტიური დასვენების პრობლემები, რასაც მოჰყვა საერთაშორისო აღიარება.

1961-77 წლებში ხელმძღვანელობდა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ფიზიოლოგიის კათედრას.

მისი, როგორც სპორტსმენის, პედაგოგისა და მეცნიერის ღვაწლს დიდხანს მადლიერებით მოიგონებს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ქართული სპორტისა და ახალი თაობის ჰარმონიული აღზრდის საშვილიშვილო საქმე.

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, გაზეთ „ლელოს“ რედაქცია.

გაზეთის დღევანდელი ნომერი აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემით.
ხელმძღვანელი: გ. სიმონიშვილი.
შემსრულებლები: ე. მანგოშვილი, ნ. რამიშვილი.

### გახსენება
## მურმან ტყეშელაშვილი

მურმან ტყეშელაშვილი საქმიანი, ხალისიანი და სპორტული შემართების კაცი იყო. გამოირჩეოდა დიდი გულისხმიერებითა და სტუმართმოყვარეობით, გაჭირვებული კაცის მხარში ამოდგომა მისი ცხოვრების წესი იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 35 წელი სტუდენტთა ჯანმრთელობის განმტკიცებას შეალია, სადაც ფიზიკური აღზრდის კათედრის უფროს მასწავლებლად მუშაობდა. საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი და მწვრთნელი, უნივერსიტეტის სტუდენტ ფრენბურთელთა კლუბის პრეზიდენტი, ფრენბურთელ ვაჟთა გუნდის უფროსი მწვრთნელი ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ უნივერსიტეტის პრესტიჟი სპორტული ავტორიტეტითაც ამაღლებულიყო.

ჩემო მურმან, რამდენი რამ შეიძლება შენზე დაიწეროს და ითქვას, მაგრამ ყველაზე ძვირფასი და მთავარი ის არის, რომ შენს თავს არ გვავიწყებს საკუთრივ გაკეთებული კეთილი საქმეები, თითქოს შინაგანი ძალა გვაფრთხილებს და გვითვალთვალებს, რომ სადმე არ შევცდეთ. წახვედი ჩვენგან და მაინც ჩვენთან ხარ, თითქოს გვამხნევებ კიდეც ამ გაჭირვების ჟამს, ვერასოდეს დაგივიწყებთ...

იური გალდავა


საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია



ბ. პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონი
(ა.წერეთლის, 2)

19 ივლისი

ფეხბურთი

ამხანაგური
საერთაშორისო
მატჩი
უეფას ეგიდით

საქართველო (ნაკრები) — მალტა (ნაკრები)

დასაწყისი 20 საათზე
ბილეთები იყიდება სტადიონის სალაროებში 15 ივლისიდან.


## რა ხდება ქვეყანაზე

● სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ცურვაში გერმანელმა მიჰაელ გროსმა ბონის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე დაიცვა დისერტაცია თემაზე „ესთეტიკა და საზოგადოებრიობა“. სპორტსმენის სამწლიანი შრომა გოეთეს უნივერსიტეტში დაგვირგვინდა იმით, რომ გროსს მიენიჭა ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი.

● სულ ახლახან ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი კრივში, კუბელი რობერტო ბალადო. არადა, ერთი თვის წინ მან მოიგო მსოფლიოს თასი ბანგკოკში (ტაილანდი) და სპეციალისტთა აღიარებით ბრწყინვალე ფორმაშიც იყო. შეგახსენებთ, რომ ბალადო ზემძიმე წონაში გამოდიოდა. მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სამჯერ — 1989, 91 და 93 წლებში, ოლიმპიური ჩემპიონი კი 1992 წელს გახდა.

● იუპი-ს სააგენტოს ცნობით, კრივში მსოფლიოს ექსჩემპიონ მაიკლ ტაისონის მჯობი ჯეიმს „ბასტერ“ დუგლასი (ორთაბრძოლა მან 1990 წელს მოიგო) „გრანდ მედიკლ სენტრის“ საავადმყოფოში იმყოფება საკმაოდ მძიმე დიაგნოზით — მწვავე დიაბეტური კომა. ექიმები ექსჩემპიონის ჯანმრთელობის შესახებ კონკრეტულად ვერაფერს ამბობენ.

● ამას წინათ შიდსით გარდაცვლილი ინგლისელი ფიგურისტის ჯონ კარის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონის მედლები აუქციონიდან გამოისყიდა და გარდაცვლილის დედას დაუბრუნა სპორტსმენის გულშემატკივარმა ფრენსის ბეიტსმა. ეს კეთილშობილური ნაბიჯი მას 22 ათასი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა.

● არჩეულია ციგურაობის საერთაშორისო კავშირის ახალი ხელმძღვანელობა. 14 წლის განმავლობაში პრეზიდენტის პოსტზე მყოფი 74 წლის ნორვეგიელი ოლაფ პოულსენი იტალიელმა ოტავიო ჩინკვანტამ შეცვალა. ბოსტონში გამართულმა კონგრესმა აირჩია ახალი ვიცეპრეზიდენტიც — გერმანელი გერდ ციმერმანი.

● 2000 წელს ავსტრალიის ქალაქ სიდნეიში გაიმართება ზაფხულის 27-ე ოლიმპიური თამაშები. საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელთა განმარტებით ბილეთების გაყიდვა დაიწყება 1998 წლიდან. სულ ნავარაუდევია 4,5 მილიონი ბილეთის დამზადება და ეს მაშინ, როცა მსურველთა რაოდენობა გაცილებით მეტია. ბილეთები კომპიუტერული მონაცემების საფუძველზე განაწილდება.

● „გოლდენ სტეიტ უორიორზის“ კალათბურთელი შარუნას მარჩიულიონისი (ლიტვა) მომავალი სეზონიდან „სიეტლ სუპერსონიკსში“ ითამაშებს. ამ დღეებში სწორედ ამის თაობაზე მოილაპარაკეს კლუბების ხელმძღვანელებმა. „უორიორზი“ და „სიეტლი“ ერთმანეთში გაცვლიან მარჩიულიონისსა და კარლოს როჯერსს (211 სმ). ეს უკანასკნელი „სიეტლმა“ შეიძინა წლევანდელი დრაფტის პირველ წრეში.

● ფეშენებელური სასტუმროების მფლობელს გერმანელ ბერნარდ კრეფს გადაწყვეტილი აქვს იბრძოლოს იმისათვის, რომ ფრანგული „ტურ დე ფრანსის“ ტრასა გერმანიის ტერიტორიაზეც, ბერლინში, კარლსრუესა და პფორცჰაიმში გავიდეს: ამ მიზნის განხორციელებისთვის ბიზნესმენი არც სახსრებს, არც დროსა და ნერვებს დაიშურებს.

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტი და ჭიდაობის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 73 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ვეტერანი სპორტსმენი, დამსახურებული მწვრთნელი, საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი

გიორგი როსტიაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.


მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, მ. კოსტავას, 14. ტელეფონი 99-56-14, 99-56-47. ინდექსი 66435 INDEX. დაიბეჭდა გამომცემლობა „სამშობლოში“